№ 44

კვირა, 9 მარტი 1897 წ.

1877 — 1897

# ივერია

№ 44

კვირა, 9 მარტი 1897 წ.

**ხაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვ. | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ვერის წმიდა ნიკოლოოზის ეკკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი სოლომონ ელიოზიშვილი, ამით აცხადებს, რომ, მთავრობის ნებართვით, მისდამი რწმუნებულ ეკკლესიასთან იხსნება დღეს, კვირას, 9 მარტს, ვაჟებისათვის საკვირაო სკოლა წირვის შემდეგ 11 საათზედ და სთხოვს სწავლის მსურველთ მობრძანდენ ხსენებულ ეკკლესიის სამრევლო სკოლის დარბაზში.

სწავლა და სასწავლო ნივთები უფასოა.

სკოლაში ასწავლიან შემდეგ საგნებს: საღმრთო სჯულს, რუსულ წერა-კითხვას, ქართულ ენას, ანგარიშს, სამშობლო გეოგრაფიას, ისტორიას და გალობას.

(1—მ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**მედ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** — დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულ მკერდისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. მუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. მუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

ტფილისი, 8 მარტი.

წარსულს კვირას ტფილისის ორს რუსულს გაზეთს, „კავკაზ“-სა და „ნოვოე ობოზრენიე“-ს, ერთი საყურადღებო საგანი შეექმნათ საკამათოდ. საქმე ის არის, რომ ამ ჟამად ტფილისს მოემატა ათასამდე სული სომეხი, ოსმალეთიდგან ეხლა-ხან გადმოსახლებული, ოსმალთა უდიერობით გამოდევნილი. ჩვენი ქალაქი სცდილობა ამ უბინაო ლტოლვილთ დახმარება აღმოუჩინოს და გაჭირვების ატანა შეაძლებინოს. გაზ. „კავკაზმა“ ამ გადმოსახლებულთა შესახებ სთქვა, და სამართლიანადაც, — რომ თუმცა იმათი გაჭირვება თანაგრძნობის ღირსია, მაგრამ რაკი ის აზრი გამოითქვა, სამუშაო რამ ვუშოვოთ ამ გადმოსახლებულთაო, საშიშია, რომ ამან ზიანი და ვნება არ მოუტანოს აქაურ მუშათაო. უნდა ვიფიქროთ, რომ ოსმალეთიდგან გადმოსახლებულნი აქ სამუშაოს ძებნას დაიწყებენ, იქნება რამდენმამე მათგანმა იშოვა კიდეც და მუშა-ხელის ასეთი მატება-კი, რასაკვირველია, სამუშაო ფასის რაოდენობას შეამცირებს და ლუკმა-პურს აქაურებსავე მოუჭრისო.

ასეთი გულ-მტკივნეულობა აქაურ მკვიდრთა გაზ. „კავკაზს“ არ მოუწონა მეორე რუსულმა გაზეთმა—„ნოვოე ობოზრენიე“-მ და განაცხადა, რომ 600—800 კაცის მომატება არაფერი ბედენაა; სამუშაო ფასი არ დაწეულა და, მაშასადამე, არც ბრძოლა ყოფილა ბაზარში გამოტანილ შრომისათვის მუშტრის საშოვნელად, რადგან ბაზარს უბრძოლველად ერთი მეორეს არ დაუთმობს და ასეთი ბრძოლა-კი, საპოლიტიკო ეკონომიის კანონით, სიმრავლე მუშა-ხელისა სამუშაო ფასს ამცირებსო. მართალი არ არის ისიც, ვითომ ეროვნების მხრივ მუშათა შორის რაიმე ცვლილება მომხდარიყოს ამ ბოლოს დროს ჩვენს ქალაქში, რადგან, ასე რომ იყოს, მაშინ ამ გარემოებას აღნიშნავდნენ ამ ოთხის წლის წინად საბჭოს ოპოზიციაში მყოფნი ქართველნი ხმოსანნიო.

იმ აზრს, რომ ვითომ ტფილისის ბაზარში თუნდა 600—800 მუშა-ხელის მომატება, არაფერი ბედენა იყოს, რასაკვირველია, დიდი უარ ყოფა არ უნდა, რადგან ყველამ უწყის, რომ ჩვენი ქალაქი არც ისეთი დიდი და ვრცელი ასპარეზია შრომისა, ისეთის შრომისა, რომელსაც არავითარი განსაკუთრებული ცოდნა რისამე არა სჭირდება და რომლისათვისაც უფრო ადამიანის მარჯვენასა აქვს დიდი მნიშვნელობა, — რომ ამ ასპარეზზედ ამდენის მუშაობის მძებნელ ხალხის გამოსვლას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდეს, ამან აქაურ მუშათა მდგომარეობას ასე თუ ისე ძვრა არ მისცეს და ნირი არ შეუშალოს. არც ის არის ლაპარაკისა და ბაასის ღირსი, ვითომ მუშათა შორის ეროვნების განსხვავების მხრივ არავითარი ცვლილება არ მომხდარიყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ამ ოთხის წლის წინად საბჭოს ოპოზიციაში მყოფმა ხმოსნებმა არ აღნიშნესო, რადგან, რაღა თქმა უნდა, რაც იმათ არ აღუნიშნავთ, ეგ კიდევ იმისი უტყუარი მომასწავებელი და მოწმე არ არის, ვითომ იმ არ-აღნიშნულს არც ალაგი ჰქონოდეს ცხოვრებაში, არცა ყოფილიყოს.

ვიდრე დანარჩენისას ვიტყოდეთ რასმე, საჭიროდა ვთვლით აღვნიშნოთ, რომ საზოგადოდ როდესაც ტფილისისა და ქუთაისის მკვიდრს სახლში, თავისს მიწაზედ უჭირდება ცხოვრება, ან მამული იმდენად მცირეა, რომ მუშა-ხელი სჭარბდება, ან შემოსავალი მამულისა ისე ნაკლებია, რომ ყველას ვერ ასდის, მუშა-კაცი სოფელსა სტოვებს და სოფლის გარეთ, უფრო ქალაქ ადგილებში, ეძებს სამუშაოს თავის გამოსარჩენად. ასეთს სახლიდგან გარდახვეწილს გაჭირვებისა გამო არავითარი განსაკუთრებული ცოდნა რისამე არა აქვს, მარტო მარჯვენის იმედით გამოდის ბაზარში და, მაშასადამე, ან ტვირთის, ბარგ-ბარხანის ზიდვა უნდა იკისროს, ან შენობებზედ მუშაობა, ან ასასობა ₰ სხ., ერთის სიტყვით, ყოველი ის საქმე, რომლისათვისაც არავითარი მომზადება არ არის საჭირო, რომელსაც განსაკუთრებული ცოდნა და სწავლა რისამე არა სჭირია-რა.

ასეთის სამუშაოს საძებნელად ტფილისს ეტანებოდნენ და ე°ანებიან უფრო ქუთაისის გუბერნიის მკვიდრნი, სადაც ადგილ-მამული მეტად ძვირია და ძალიან დიდი ვიწროობაა. ამ თხუთმეტის-ოცის წლის წინად მთელი სამუშაო ტფილისში ქუთაისის გუბერნიიდგან ჩამოსულთა ჰქონდათ. ტვირთის ზურგით მზიდველ მუშათა შორის იშვიათად შეჰხვდებოდით სხვას, თუ არ რაჭველს. რაჭველი მუშა ისე თი ხშირი იყო ერთს დროს, რომ არ შეიძლებოდა კურტანი დაგენახათ და სამართლიანად არ გეფიქრათ, სწორედ რაჭველი იქნებაო. მთელის ქალაქის საქონელ-ბარგის მზიდველნი, ქარვასლებში მომუშავენი და მედარაჯენი სულ იმერლობა იყო, უფრო-კი რაჭველობა და რაოდენადმე აისორობაც.

ეხლა? ეხლა ათასში ერთს თუ შეჰხვდებით. იმათ მაგიერ მრავლად არიან სომხები, უფრო ერევნელნი და საზოგადოდ-კი შორეულ გუბერნიებიდგან გადმოსულნი სომეხნი, თუმცა, რასაკვირველია, ამ ხანში შრომის ბაზარი უფრო გადიდდა, უფრო გაფართოვდა. ამ შრომის ასპარეზის გაფართოებასთან კლება ქართველ მუშათა რიცხვისა, მუშათა ეროვნების მხრივ ასე შეცვლა ისე აშკარაა, ისე ნათელი, ისე თვალსაჩინო ყველასათვის, რომ ამას არც უმეტ ნაკლებო სასტატისტიკო ცნობები სჭირია მაინცა-და-მაინც და, მით უფრო, არც ქართველთა ხმოსანთა მიერ ხელის მოწერა და ბეჭდის დაკვრა.

აქ ეკონომიურს ნიადაგზედ ბრძოლა უნდა მომხდარიყო, რადგან უბრძოლველად ბაზარს ერთი მეორეს არ დაუთმობდაო, იტყვიან. ხოლო თუ ასეთი ბრძოლა იყო, მაშ ის საპოლიტიკო ეკონომიის შეურყეველი კანონი რაღა იქმნა, რომლის ძალითაც ერთის მხრივ ბაზარში გატანილ შრომის სიმრავლესა და მეორეს მხრივ საჭიროების, მუშტრის სიმცირეს თვით შრომის ფასის კლება უნდა მოჰყვესო.

ძალიან კეთილი, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საპოლიტიკო ეკონომიის კანონი მხოლოდ იქ არის შეურყეველი და უტყუარი აღმნიშვნელი საეკონომიო ნიადაგზედ ატეხილის ბრძოლისა, მატება საქმის მძებნელთა მხოლოდ იქა ჰმოქმედობს შრომის ფასის რაოდენობაზედ სრულის ძლიერებით, სადაც სხვა ყოველი გარემოება ერთი და იგივეა. იქ, სადაც მთელის ქალაქის მართვა-გამგეობა, ვაჭრობა და მრეწველობა ქალაქის მკვიდრის ერთს ნაწილსა აქვს ხელში ჩავარდნილი, იქ, სადაც მიკერძებას ადგილი უპოვნია, იქ ეს საპოლიტიკო ეკონომიის კანონი უტყუარად ვეღარ ასწევდასწევს თავისს სიმართლის სასწორის უღელს საეკონომიო ნიადაგზედ ატეხილ ბრძოლის ავ კარგის აღსანიშნავად.

რატომ შრომის ფასმა არ დაიწია, საპოლიტიკო ეკონომიის კანონის თანახმადაო? ჩვენც სწორედ მაგასა ვჩივით, რომ საპოლიტიკო ეკონომიის კანონი ჩვენში ვერა კანონობს; ტფილისის ბაზრიდგან ისე განიდევნენ რაჭველი და აისორი მუშები, რომ არც შრომის განკარგებასა და არც იმისს მაზანდას არა დასტყობია-რა. აშკარაა, აქ განსაკუთრებულს გარემოებას უმოქმედნია და გამოუჩენია თავისი ძალა და გვერდზედ მიუყენებია საპოლიტიკო ეკონომიის კანონი, საეკონომიო ცხოვრების თავისუფალი მდინარება განგებ ამღვრეულა და შეტბორებულა. ჩვენც მაგას ვამბობთ, რომ ეგ საპოლიტიკო ეკონომიის კანონი, უტყუარი და შეურყეველი მთელის დედამიწის ზურგზედ, ჩვენში არა სჩანს, რადგან ბაზარში გატანილს შრომას მარტო შრომის სიავ-კარგის ფასის მეტ-ნაკლებობის მხრივ-კი არა სწონავენ, არამედ იმ თვალით, ვინ არის შრომის გამომტანი, რა ეროვნებისა, რა გვარ-ტომობისაო.

ჩვენ გაზეთშიაც იყო ის ცნობა გადმობეჭდილი ამას წინად, რომ ქალაქის გამგეობას სამასოთხასამდე კაცი ემსახურება და ამათ შორის თითქმის 93% სომხობააო. ქუჩის დამგველები და მრწყველნი, ავჭალის წყლის მილის ასასები, რომელთა რიცხვი საერთოდ ორასამდეა, სულ სომხები არიანო. აბა ჰკითხეთ ქალაქის გამგეობას, ეხლაც იმდენსავე არ აძლევს კაცის თავზედ ამ მუშებს სასყიდელს, რამდენსაც აძლევდა ამ რამდენისამე წლის წინად, როდესაც ქუჩის დამგველებად რაჭველები და აისორები იყვნენ? ჰკითხეთ და იგი გიპასუხებთ: თუ მეტს არა, არა ნაკლებსაო. მაშ აქ ხომ ბრძოლა უნდა მომხდარიყო საეკონომიო ნიადაგზედ და სომხებს რაჭველ აისორები დაეძლიათ და რატომ შრომის ფასმა არ იკლო, რატომ აქ კი არ იჩინა თავი იმ შეურყეველმა საპოლიტიკო ეკონომიის კანონმა, რომელიც ისე მარჯვედ აიფარა წინ რუსულმა გაზეთმა?!.

ქალაქის გამგეობა, რომელსაც სხვის ჯიბეში უდევს ხელი, იმასკი არა ჰზრუნავს, რომ იაფად დაიქირაო მუშა-ხელი და ამითი დაჰზოგო საზოგადო ფულიო, არამედ თავისიანებისაგენ მიკერძებასა სცდილობს. აგერ გუშინდელს გაზ. „კავკაზ“-ში ბ-ნი ვ. გუნია ამბობს, რომ ეს-ეს არის მოწვეულმა ბეითალმა ვართანიანცმა საყასბოდგან ქართველი მუშები გარეკა და იმათ მაგიერ ოსმალეთიდგან გარდმოხვეწილი სომხები დაჰნიშნაო. უწინდელმა მუშებმა თურმე საჩივარიც შეიტანეს გამგეობაში, ვართანიანცი უსამართლოდ მოგვექცაო, მაგრამ ამ საჩივარსაც ყური არ ათხოვეს. აბა ახლა ჰკითხეთ, რამ აიძულა ბ-ნი ვართანიანცი ასე მოქცეულიყო? გამოვიდა საეკონომიო ბაზარში და შრომა უფრო იაფად დაიქირავა? რასაკვირველია, არა, რადგან ფასი, სასყიდელი ისევ ის ეძლევათ ამ მუშებსაც, რაც ქართველ მუშებს ეძლეოდათ. ან ქალაქის გამგეობამ გამოიძია, ეს შერჩეულნი საქმეს რად იქმნენ უარ-ყოფილნი და ახლებს, არა ამ ქვეყნის შვილთ რად მიეცათ უპირატესობა, როდესაც ამითი არც საქმეს მოემატა სიკეთე და არც ქალაქს დაეზოგა ფულიო?..

სადაც ხალხი ასე უმიზეზოდ,

ასე უსამართლოდ და უდიერად იდევნება შრომის ბაზრიდგან, სადაც დამქირავებელი მუშა-კაცს, იმას კი არა ჰკითხავს, რა ჰქვირხარო, არამედ იმას, ვინა ხარ, სომეხი თუ ქართველიო, იქ საპოლიტიკო ეკონომიის კანონი რად არის სახსენებელი, თუ არა ჭეშმარიტების დასაჩრდილავად და უსამართლობის მისაქომაგებლად?!

ვიმეორებთ, ამ კანონს მხოლოდ იქ ემჩნევა თავისი შეურყევლობა და უტყუარობა, სადაც საქმე, სამუშაო იაფს მუშას ეძებს, ეროვნებისა და გვარ-ტომობის მიუხედავად, ხოლო როდესაც საეკონომიო ნიადაგზედ ატეხილს ბრძოლაში ჩემიან-სხვისიანობა ჩაერევა, იქ ყოველი კანონი, საპოლიტიკო ეკონომიისაა იგი თუ სხვა, გარედ გარბის და ბრძოლის მოედანს უსამართლობას უთმობს სათარეშოდ.

ფარნაოზი

---

## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნა სასულმწიფო სამსახურში შთამამავლობით აზნაური ალექსანდრე ლორთქიფანიძე—ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა მმართველობის პირველ ხარისხის მოხელედ.

დამტკიცებულ იქმნა გუბერნსკი სეკრეტრად ქუთაისის სადამოყნო ოლქის უფროსის კანცელარიის მოხელე გეგელიშვილი.

---

# ახალი ამბავი

*** ფოთიდგან დეპეშით გვაუწყებენ: ქალაქის გამგეობას ცნობა მოუვიდა პეტერბურგიდგან, რომ გზათა უწყების სამინისტროს საინჟინერო საბჭოს ერთ ხმად დაუმტკიცებია ესრედ წოდებული გენერალ-პაუკერის პროექტი ფოთის ნავთ-სადგურის გარშემო ხანდაკების გადაკეთებისა. მუშაობა მთავრობის ხარჯით უნდა იყოს. სამუშაონი ხარჯთ-აღრიცხვით ოთხს მილიონზედ მეტი უნდა დაჯდეს. ათი წელიწადია ამ საქმის შესახებ ლაპარაკი იყო და ძლივს ეხლა გარდაწყვეტილა.

*** კავკასიის მთავარ-მმართებელის საბჭო ამ ახლო ხანებში განიხილავს თურმე საქმეს სუხუმის ნაწილის მომრიგებელ-შუამავალის, პოლკოვნიკის დიაჩკოვ-ტარასოვისას, რომელსაც სხვა-და-სხვა დანაშაულის ჩადენა ჰბრალდება თანამდებობის აღსრულების დროს მაშინ, როდესაც ახალ-ქალაქის მაზრის უფროსად იყო.

*** ბათუმის გაზეთის სიტყვით, ეს რამდენიმე დღეა ბათუმის ქუჩებში დადიან რვა წარმოსადეგი, ლამაზი და ახალგაზდა გურული, წითელის ჩოხებით გამოწყობილნი. ეს ახალგაზდობა თავისის შეხედულობითა და მხიარულის ტანისამოსით ყველას ყურადღებას იზიდავს თურმე. ეს გურულები ამერიკის ერთს ცირკში არიან მიწვეულნი, რომ ამერიკელები გაართონ თავისის ცხენოსნობით; წარსულს წელს იქვე წავიდა მთელი დასი კავკასიის ცხენოსანთაო.

*** ქალაქის ახალ სადეზინფექციო სადგურისათვის ბერლინიდგან გამოწერილი გენადის სადეზინფექციო მანქანა ტფილისში უკვე მიიღეს და 6 მარტს გაჰმართეს კიდეც. მანქანის ზოგიერთი ნაწილი გზაში დაზიანებულა და იმის შეკეთებას რამდენიმე დღე მოუნდება. ამასთანავე თვით სადგურის შენობასაც უნდა შეკეთება, მაგალითად, იატაკი უნდა მოიკირწყლოს და კედლები შეიღებოს. როგორც ამბობენ, ეს სადგური 20 მარტისათვის მზად იქმნებაო.

6 მარტს ქალაქის გამგეობის წევრმა ქ. ა. ვერმიშევმა, საექიმო-სასანიტარო ინსპექტორმა ბ-ნ სტეფანოვმა, სასანიტარო მზრუნველმა, ქალაქის ტეხნიკებმა და პოლიციის მესამე განყოფილების ბოქაულმა სომხთა სასულიერო სემინარიის სახლი დაათვალიერეს, რომელშიაც მეთუნექეები იდგნენ. ეს სახლი როგორც სანიტარულის მხრივ, ისე ტეხნიკურადაც ისეთს ცუდს მდგომარეობაში ყოფილა, რომ კამისიამ დაადგინა—მდგმურებს დაუყოვნებლივ დავაცლევინოთ ეს სახლიო. ამასთანავე კამისიამ სემინარიის სამზრუნველოს წინადადება მისცა, რომ იგი შენობა საფუძვლიანად შეაკეთონ და იმისი კარ-მიდამო გაასუფთაონ.

*** „გრაჟდანინ“-ი იუწყება, რომ ფოთის ნავთ-სადგურის უხერხულობისა გამო ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ფოთთან მყოფი პალეოსტომის ტბა შავს ზღვას შეუერთონ არხით და იგი აქციონ ნავთა დასადგომ ყურედ.

*** კვირას, 2 მარტს, ტფილისის რკინის გზის საქალაქო სასწავლებელში გამართეს წერა-კითხვის საღამოს კურსები რკინის გზის სახელოსნოების მოზრდილ ხელოსანთათვის. პირველსავე კვირას ამ კურსებზედ 180 კაცი ჩაეწერა. მოსწავლენი კვირაში სამს საღამოსა სწავლობენ. ამ კურსებზედ ჩაწერის მსურველი ისე მრავალია, რომ 50 ხელოსანს უარი უთხრეს თურმე.

*** საქართველოს ეგზარხოსს, ყოვლად მაღალ უსამღვდელოესს ვლადიმირს ტფილისის გუბერნატორისათვის უთხოვნია,—გორის მაზრის, სოფ. შინდისის მცხოვრებთა დადგენილება საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლის დაარსების შესახებ დაამტკიცეთო.

*** დ. ყვირილა, 7 მარტი. ამ სამის კვირის წინად აქ მოიყვანეს ერთი ავადმყოფი ყმაწვილი ბათუმიდგან. სასტუმროს პატრონმა მიიღო ავადმყოფი ისე, რომ არც ექიმს შეატყობინა და არც ბოქაულს. სამის დღის შემდეგ ყმაწვილს ყვავილი გამოაჩნდა. ბა-ნმა ბოქაულმა მისცა ნება იქვე დარჩენისა განკურნებამდის, მხოლოდ აუკრძალა სასტუმროს პატრონს, ხალხი არავინ შეუშვა სასტუმროში და ყველა ოთახები დაკეტეო. ბოქაულის ბრძანება არ აასრულეს და თუმცა ის ყმაწვილი კი მორჩა, მაგრამ ახლა ოთხი სხვა გახდა ამავე სენით ავად. ასეთი უყურადღებობა ნუ თუ გაგონილა სადმე?..

*** ს. ნიგოითი. (ოზურგეთის მაზრა). ამ მოკლე ხანში ნიგოითს დიდი წარმატება ეტყობა. ააგეს მშვენიერი ქვითკირის დარბაზი სასწავლებლისათვის, დააარსეს უფასო სამკითხველო და ეხლა კიდევ არსდება ახალი ამხანაგობა „ეკონომია“, რომელსაც საგნად ექნება გამართოს მაღაზიები ყველა საქონლისა და მიაწოდოს ხალხს კარგი ღირსების საქონელი იაფ ფასად. თითო პაი ჰღირს 10 მან. იმედია, წევრი ბევრი ეყოლება. ამ საქმეში დიდი გულ-შემატკივრობა გამოიჩინეს თავად მაჭუტაძეებმა, რომელთაც დიდი დახმარება აღუთქვეს ახალს ამხანაგობას. ერთმა უკვე დაუთმო ამხანაგობას უსასყიდლოდ ორი სამაღაზიო დარბაზი და ფულადაც დახმარებას შეჰპირდა. ეს საქმე არა მარტო ნიგოითს უნდა უხაროდეს, არამედ ყველა ახლომახლო სოფლებს, მაგ. აკეთს, აცანას, ლანჩხუთს და სხვებს, რადგანაც ყველასათვის ხელ-მისაწვდენი იქნება და ყველას შეეძლება ისარგებლოს ამ ამხანაგობის მაღაზიით.

*** ყვირილა. 7 მარტს, როდესაც მატარებელი № 35 მივიდა სადგურთან, მგზავრი მურმან ჩიტაძე, 35 წლისა, გადმოხტა ალაყიდგან, ფეხი ველარ შეიმაგრა და მეორე ლიანდაგზედ წაიქცა. ამ დროს მეორე ორთქლ მავალი მოდიოდა, მურმან ჩიტაძემ ველარ მოასწრო ფეხზედ წამოდგომა და მატარებელმა მარჯვენა ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

— მთის ქუჩაზედ ფრიდონოვის მდგმურმა მღვდელმა იოსეფ პეტროსიანცმა 6 მარტს პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემმა მსახურმა თათოს ბაბაიანცმა 1 მარტს სამ თუმნად ღირებული საჭმლისა და ჩაის ვერცხლის კოვზები მომპარა და სადღაც გაიპარაო. დამნაშავეს დაეძებენ.

— გუშინ, 8 მარტს, მიხეილის ქუჩაზედ სამსახურს გარეშე მყოფის კოლეჟსკი რეგისტრატორის გრიგოლ კასილის მე დავიდოვის სახლში ბუხართან მყოფ კოშს ცეცხლი გაუჩნდა და

---

# ფელეტონი

## გლეხის ნაამბობი

(ვუძღვნი პოეტს ვ. ლ. ველიჩკოს)

I

ცოლი გამიხდა ავადა,
ცოლი მზე ამომავალი,
დავჯექ და ბევრი ვიტირე,
თავშიაც ვიეც მრავალი;
ცოლი მალამო ქმარ შვილის,
სახლის იაზმა, ღვთიანი,
ჩემი მეორე მარჯვენა,
გამრჯელი, მხნე და ჭკვიანი;
ცოლი ხატივით სალოცი,
ალერსით ნანებივრები,
ფუფალასავით ნანახი,
რძე-ქადით ნაპატივრები;
ის არა ჰგვანდა ყბედს აფთარს,
ცოლსა ჯოჯოხეთს ქმრისასა,
სიწყნარე-სიკეკლუცითა
ჰგვანდა ანგელოზს ღვთისასა;
ღამ-ღამე სწუხდა, ჰკვნესოდა,
ბალღივით ხელში ამყვანდა,
ყელს მეხვეოდა, ტიროდა,
გულში ჩაკრული დამყვანდა.
მკითხავმა მითხრა: წამლები
არ ასვა, მოგიკვდებაო,
გავაზის წმიდა გიორგი
ალოცე, მოგირჩებაო.
ალაზნის მწვანე მინდორზედ
ქიზიყი დარუებულა,
დაჩარდახული ურმები
მხარ-გაშმით აჭრელებულა.
წმიდა გიორგის მივდივართ
ყველანი სალოცავადა,
ცოლი ურემში მიკვნესის,
მზეც მეჩვენება შავადა.
ალაზანს შევედ ურმითა,
ურემში მეწვა ცოლია
და წყვილი შვილი ქალ-ვაჟი,
დედის ლალი და ბროლია.
ფონს ავცდი, მორევს ჩავცვივდით,
არსაით იყო შველანი,
ცოლ-შვილი, შვინდა, ჯერანა—
წყალმა დამირჩო ყველანი.
თვალი გავალე, წყლის პირას
ვეგდე და სული მხდებოდა,
„კინაღამ დაიღუპეო“,
მენავე მეუბნებოდა.
მე ვუთხარ: რატო დამცინი,
შენ ღმერთი არა გქონია,
ამაზედ მეტი დაღუპვა
განაღა გაგიგონია?!
შენ კაცი კი-არ, დიაცი
ყოფილხარ ლეჩაქ-მოხდილი,
ურცხვი, გულ-ქვავი, ცბიერი,
სათოფე ნამუს-ახდილი.
ეგრე არ ვეგდო, გნახავდი,
ვაი დედასა მტრისასა,
თავს დაგაყრიდი მეხივით
ცეცხლსა და რისხვას ცისასა,
და, ენა-მყრალო, ამ ხანჯლით
ორად გაგწყვეტდი წყეულსა,
როგორც რომ გველსა შხამიანს
და ძაღლსა გადარეულსა.
რად გადმარჩინე, რა გრჯიდა
ცოლ-შვილთან დავმრჩვალიყავი,
რა ჯავრი გჭირდა ჩემია,
შე ულვთო, რატო მიყავი.
ეს ვთქვი და წყლისკენ გავბობღდი,
დარჩობა მენატრებოდა...
მენავემ ხელი დამტაცა,
ქოხისკენ მიმიძღვებოდა.
დამსვა და დაჯდა მენავეც
ქოხში დიდ ცეცხლა-პირასა,
დამიწყო მოძღვარივითა
მოვაგლახეს და მტირალსა:
„მადლი გიყავო, ის მადლი
შენ მატლად გადამიქციე,
მაგინე, მე არც გაგინე,
არც ზურგი შემოგიქციე.
კაცს ჰკუით ღარიბს ავ-კარგის
ცნობა სულ არა ჰქონია,
კარგი არ მოსწონს, ცუდი-კი
კარგზედაც კარგი ჰგონია.
ქაჯია ადამიანი,
კაცს მადლის ქმნელსა ჰკვიანსა
ჯვარს აკრავს ლანძღვა-გინებით,
ავაზაკს არქმევს ღვთიანსა.
ადამიანს რომ სცოდნოდა
დანახვა სიკეთისაო,
ეშმაკნიც გადიქცეოდნენ
ანგელოზებად ღვთისაო.
მძულს, მეჯავრება კაცუნა,
ლაჩარი დიაცივითა,
მიყვარს ვაჟკაცი სულ-გრძელი,
მაგარი ფოლადივითა;
თუნდ ხელმწიფობაც დაჰკარგო,
ლუკმაც რო გენატრებოდეს
და შენი შემბრალებელი
აღარვინ გეგულებოდეს,
მაინც ნუ ჩასთვლი შენ თავსა
დაკარგულ დაღუპულადა,
თუ-კი ჯანი და სიცოცხლე
არ დაგიკარგავს სრულადა.
სიცოცხლეს ვერსად ვიშოვით,
გინდ ცაში ავყოთ ხელია,
სიცოცხლეს გარდა სუყველა
ადვილი საშოვნელია...
კაცი მხნე და გონიერი
გულს არ მოუშლის მშვიდობას,
ამ ქვეყნად ყველას იშოვის—
ცოლ-შვილს, სიმდიდრეს, დიდობას.
შავბედსა, შურსა, მტრობასა
ქვეყანა უტირებია,
წაღმა საბრუნი მის ჩარხი
უკუღმა უბრუნებია.
რას ვიზამთ, ჭირი, ვარამი
სუყველას ბედში სთესია,
მაგრამ ბოროტით გულის კვლა
მშიშარა გოგოს წესია.
კაცს არ შეჰშვენის არას დროს
ღრიალი დიაცურადა,
ვაჟკაცი უნდა სიკვდილსაც
დაუხვდეს მამაცურადა.
ცხოვრება, ძმაო, ომია,
თავს რა არ გადამხდომია,
ათასი ჭირი მინახავს,
დღესაც ეს გული ლომია!
კაცი თუ დაეჩაგვრინა
მტერსა და უბედობასა,
ვაი იმ კაცის სიცოცხლეს,
ფუი მის ვაჟკაცობასა!
ხეს ზამთრისაგან დამჭკნარსა
ზაფხული ააყვავილებს,
მინდორს გვალვისგან დამწვარსა
ცის ნამი ამწვანილებს.
ვაზსა გასხლულსა ცოცხალსა
ვინ ჩასთვლის ჟამ-მოჭმულადა,
მაისი ფოთოლ-მტევნებით
შეჰმოსავს დახატულადა.
შენც ცოცხალი ხარ, ძმობილო,
არ გთვლიო დაღუპულადა.
და აქ გაჩუმდა მენავე,
მე ვიქეც ჭირის ლულადა.

II

გიორგობაა. მთა-ბარი
ქვეყანას მოუწველია,
დამჭკნარა, გაყვითლებულა
მინდორი, ტყე და ველია.
დაღისტნის მთები დიდრონი,
ზეცამდის ამართულები,
ლურჯ ლილასავით მოსჩანან,
თეთრ-მანდილ-წამოსხმულები.
კახეთის მთები სოფლებით
ახატულ-ჩახატულები
და იმის ციხე-კოშკები
გმირთაგან წამოდგმულები—
ამაყად იყურებიან
მტერთა გულისა მპობელნი,
იქა სცხოვრობდნენ ქართველნი
ვერვისგან დასამხობელნი.
ალაზნის დიდი მინდორიც,
თვალ-უწვდენელი, ტყიანი,
შემოციხული მთებითა,
გორაკებ ბორცვებიანი,
ათასფრად აჭრელებულა
ცხვარ-ძროხა-ნახნავებითა,
უამხანაგო მუხებით,
ლაპლაპა გუბე-ტბებითა.
იქ ალაზანი გველივით
მისცურავს დუნე-ხმიანი,
იალციალებს მის ზურგზედ
ლურჯი ცა მთვარე-მზიანი.
ალაზნის პირას მინდორზედ
შინისკენ წამომავალნი,
ყველა თავ-თავის ურემთან
მლოცავნი ვსხედვართ მრავალნი.
ჩვენ წინაც სუფრა გულ-უხვი
მწვანეზე გადაშლილია,
გვერდთ მიზის ცოლი მეორე
და ჩემი სამი შვილია;
იქვე ზის ჩემთან მენავეც,
ვინც ჭირი შემაძლებინა,
ვინც ცხრა წლის წინად სიკვდილსა
პირიდგან გამაგდებინა.
ჯამ-ყანწითა ვსვამთ ღვინოსა,
კახურსა ქარვა-ლალისას,
თანაც შევხარი შვილებსა,
ნაშობებს ნატრის თვალისას.
მენავე კაცი ხნიერი,
ვაჟკაცად დაბადებული,
ცეცხლის წვერივით ენთება,

შინაურებმავე ჩააქრეს. ცეცხლს დიდი ზარალი არა მოუტანია-რა.

## ქალაქის საბჭო.

7 მარტი.

კრებამ მთელი საღამო სავაჭრო-სამეურნეო დაწესებულების მოწყობის განხილვას მოანდომა და ბევრის სჯა-ბაასის შემდეგ დაადგინა:

1) გაუქმებულ იქმნას უფროსის აგენტის თანამდებობა;

2) დანიშნულ იქმნას 12 ქვეითი აგენტი და თითოეულს იმათგანს 720 მან. წლიური ჯამაგირი დაენიშნოს;

3) დანიშნულ იქმნას ერთი ცხენოსანი აგენტი და წლიური ჯამაგირი 900 მან. მიეცეს;

4) ამ აგენტების მოვალეობას შეადგენს,— ქალაქის სისუფთავეს და საზოგადოდ ქალაქის კეთილ-წესიერებას ყური უგდონ; საბჭოს დადგენილებანი სანოვაგეთა ნიხრის შესახებ დაიცვან; ყაფნებსა, სასწორებსა, ბაზრებსა, ქალაქის განათებასა და სხ. თვალ-ყური ადევნონ და სხ.

5) დანიშნულ იქმნას ერთი ცხენოსანი გამგზავნ-გამომგზავნი და წლიურ ჯამაგირად 600 მან. დაენიშნოს;

6) დანიშნულ იქმნას ერთი ქვეითი გამგზავნ-გამომგზავნი და წლიურად 240 მან. დაენიშნოს;

7) ქალაქის ვექილს თანაშემწე დაენიშნოს, რომელსაც 900 მან. წლიური ჯამაგირი უნდა მიეცეს.

## რუსეთი

—

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ნება მისცა სასოფლო სამეურნეო სასწავლებლების საპედაგოგიო საბჭოთ, სამის წლის ვადით მოსწავლენი კვლავ გამოუცდელად, უეგზამენოდ გადაიყვანეთ ერთის კლასიდგან მეორეში იმის კვალობაზედ, თუ როგორა სწავლობდნენ მთელის წლის განმავლობაში. დანარჩენთ-კი ეგზამენი დაუნიშნეთ, მხოლოდ იმ საგნებისა, რომელსაც სუსტადა სწავლობდნენო. თუ მოსწავლენი სრულიად ცუდადა სწავლობდნენ, იმათ ნუ მისცემთ ნებას ეგზამენის დაჭერისასაო. ეს წესი მხოლოდ სამის წლით იქმნება შემოღებული, რომლის დამლევსაც სასწავლებელთა უფროსებმა სამინისტროს ანგარიში უნდა წარუდგინონ ამ ახალის წესის ღირსება-ნაკლულევანების შესახებ.

—

16 აპრილს პეტერბურგში მივა მისი უდიდებულესობა, ავსტრიის იმპერატორი ფრანც-იოსები.

—

გზათა უწყების მინისტრს ამ დღეებში შემდეგი ბრძანება გაუცია: „ჩემამდე მოაღწია იმ ამბავმა, რომ რამდენიმე შემთხვევა ყოფილა, როდესაც რკინის გზის მსახურთ, უმოგზაურიათ რა მუქთის ბილეთებით, საუკეთესო ადგილები დაუჭერიათ ვაგონში და მაშინაც-კი, როდესაც ადგილების ნაკლებულობა ყოფილა, ალაგი არ დაუთმიათ ფასიან მოგზაურთათვის. ამის ასაცილებლად ყოვლად საჭიროა, რკინის გზათა უფროსებმა და მმართველებმა განუმარტონ ამ მოხელეებს, რომ ვაგონებში საუკეთესო ადგილები არ დაიჭირონ ხოლმე და როდესაც უალაგობაა, თავისი ადგილი ფასიანს მგზავრებს დაუთმონ“.

—

1887 წელს გამოცემულ ნიმუშის ქაღალდის ფულის ოც-და-ხუთ მანათიანების გამოცვლის უკანასკნელ ვადად დადებულია 1899 წლის 31 დეკემბერი.

—

განმარტებულ იქმნა, რომ სამრევლო და ყველა პირველ დაწყებითი სასწავლებელთა მასწავლებლებმა კაცებმა და ქალებმა, რა წოდებისანიც უნდა იყვნენ, უვადო საპასპორტო წიგნაკები თავისის მთავრობისაგან უნდა მიიღონ. საშუალო სასწავლებლების ბასწავლებელსა და აღმზრდელს ქალებს, რა წოდებისანიც უნდა იყვნენ, საპასპორტო წიგნაკები უნდა მიეცეთ თავისისავე სამოსწავლო მთავრობისაგან. ამასთან არა სრულ-წლოვან და გათხოვილთ მთავრობა ასეთს წიგნაკებს მისცემს იმ პირობით, თუ პირველთა შესახებ მათი მშობლები და მზრუნველნი იქმნებიან თანახმანი, ხოლო მეორეთა შესახებ—ქმრები.

—

საერო განათლების სამინისტროში ალაპარაკი იმის შესახებ, რომ თუ ვინიცობაა შავი ჭირი შემოვიდა რუსეთში, სასწავლებლებში მოსწავლენი საზაფხულოდ უფრო ადრე იქმნენ დათხოვნილიო.

—

19 თებერვალს კიევის გუბერნიის დაბა შპოლაში ვიღაცამ ხმა გაავრცელა, რომ კანონით აღკრძალული არ არის ებრაელთა ქონების გაძარცვა და ამის გამო ხალხი დაეცა ებრაელთა სახლებსა და დუქნებს და აიკლო. მეორე დღეს, 20 თებერვალს, შორეულ სოფლებიდგან გლეხები და დედაკაცები გროვა-გროვად მიდიოდნენ თურმე შპოლაში, მაგრამ აქ ისინი შეაყენეს თურმე და გააბრუნეს. „სთქვეს, რომ ურიების ცემა და ძარცვა-რბევა შეიძლება და თურმე ტყუილი არა ყოფილაო“, უთქვამს ერთს გლეხს გულ უბრყვილოდ. გაძარცულ საქონლის ერთი ნაწილი იმ დაბისავე გლეხებს აღმოაჩნდათ, ხოლო მეორე — სხვა, შორეულს ადგილებში გაუზიდნათ. როდესაც გამძვინვარებული ხალხი ეძგერა ებრაელთა სახლებს ასაკლებად და მღვდელი ჯვარით ხელში ემუდარებოდა, მაგ ღვთის წინააღმდეგს საქმეს ნუ სჩადიხართო, ასე უპასუხეს თურმე: „მამაო, ნება მოგვეცი ვისიამოვნოთო!“

## უცხოეთი

—

**აღმოსავლეთის საქმე.** როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, საბერძნეთის საეროვნო ლიგას სხვა-და-სხვა გაზეთისათვის შემდეგის შინაარსის წერილი გაუგზავნია: „ერი მზად არის არავითარი მსხვერპლი არ დაჰზოგოს, რომ თავისს დაჩაგრულს მოძმეებს რითიმე უშველოს. ლიგასა სწამს, რომ ერი სხვის ბრძანებას ადვილად არ დაემორჩილება და თავის მოძმეების ტანჯვას გულ-ხელ დაკრეფილი არ დაუწყებს ცქერას, არც ჩვენი მხედრობა და არც მისი წინამძღოლნი მხარს არ დაუჭერენ იმათ, რომელთაც მშვიდობიანობის დაცვა მხოლოდ თავიანთის პირადის ანგარიშისათვის უნდათ. მარტო გულმტკივნეულობის გამოცხადება საერო ლიგის მოქმედების საგანს როდი შეადგენს; ჩვენ საგნად საქმის გაკეთება გვაქვს და ვის ხელშიაც საბერძნეთის ბედი და იღბალია, იმათ არ შეუძლიანთ ჩვენს სურვილს დიდის ყურადღებით და პატივით არ მოეკიდნენ“.

—

უკანასკნელის ცნობებიდგანა სჩანს, რომ კრიტის მეამბოხეთა მთავარსარდალს კარაკასს იტალიის სამხედრო გემის უფროსისათვის შეუთვლია, რომ თქვენ ოსმალებს ემხრობით და ჩვენ-კი, ბერძნებს, უსამართლოდ გვდევნითო. ხვალ, 6 მარტს, გიერაიეტრის ციხეს უნდა მივადგე ჩემის ჯარით და უნდა ავიღოვო. კარაკასს მართლაც აუსრულებია თავისი სიტყვა და მეორე დღეს გიერაიეტრისათვის თოფ-ზარბაზნები დაუშენია. ერთს მეამბოხეს ისეთი სიმამაცე გამოუჩენია, რომ ამ შეუწყვეტელად თოფის სროლის დროს ციხეზედ ასულა და საბერძნეთის დროშა გაუშლია. ამ დროს იტალიის გემიდგან ყუმბარა გამოუსროლიათ, რომელსაც ეს მამაცი მხედარი და მასთან ერთად სხვა 11 მეომარი დაუხოცია. დახოცილებში 2 კაცი იტალიელიც რეულა თურმე, რომლებიც თავიანთის სურვილით კრიტის მეამბოხეთა რაზმში ყოფილან ჩარიცხულნი.

—

10 მარტს ათინაში 15 ფრანგი და 1 რუსი მისულა იმ განზრახვით, რომ საბერძნეთის ჯარში ჩაეწერონ, რომელნიც იქაურ მკვიდრთ და სტუდენტებს დიდის ამბით მიუღიათ. გარდა ამისა, პელოპონესიდგან 3000 კაცზედ მეტი ზურგის ჯარისანი მისულან და მრავალი ისეთიც, რომელთაც თავის სურვილით უნდათ ჯარში ჩაეწერონ. ამ უკანასკნელთა შორის 60 კაცი ათონის მონასტრის ბერი და 70 კაცი აღმოსავლეთ რუმელიელი ბერძენი ყოფილა. სტუ-

---

ღვინისგან დაჭარხლებული;
მან მითხრა: „ჩემო ნათლიმამ,
დღეს კარგა მოვილხინეო,
ცოტა ხანს ყური დამიგდე,
ნათქვამი მომისმინეო.
კაცის გონება-მარჯვენას
ქვეყანა დაუდგენია,
კაცსა კაცისა სიტყვიდამ
ჰქვა-ცოდნა შეუძენია.
სამოც-და-ათის წლისა ვარ,
ბატივით გათეთრებული,
აგრე მგონია, ბიჭი ვარ,
წვერ-ულვაშ ამწვანებული;
ან კი რატომაც არა ვარ,
მადლს გეფიცები ღვთისასა,
ლომიც რო სამტროდ ამიდგეს,
ნავას გავაქრობ მისასა,
თუ ძმობა მითხრა, მაშინ-კი,
ვფიცავ ნათელსა მზისასა,
ზურგზედ შევისვამ ზღვაშიაც,
ნაპირს გავიყვან წყლისასა.
სათიბ-სამკალში, საბარში
ვინც გინდა მუშა შამჭიდე,
თუ ვისმე ჩამოვუვარდე,
ძაღლსა და ღორსა დამჭიდე.
სიმღერა-ჯირით-ლეკურში,
როცა გსურს, დამიმსახურე;
თუ ვისმე უკან დავურჩე,
თავს ჩაჩი ჩამომახურე.
სანაძლეოზედ ქალებთან
ხადილსაც კარგად ვიღებდი
და თითონ ხონთქრის ცოლებსაც
გადავრევ-გავაგიჟებდი.
გინდ ასს წელიწადს ვიცოცხლო,
არავის მოვეწყინები,
სიბერეს ვერვინ შემატყობს,
კარგს ჭაბუკს ვემჯობინები.
თუ გული გაუტეხავად
კერდის ქვეშ გატინებულა,
სითეთრე-წლოვანობისგან
კაცი არ დაბერებულა.
გული თუ გატყდა, მაშინ-კი
ოცის წლის ბალღიც ბერია,
გახდება ბოროტ ჭირისა
საქექი ნაცარ-მტვერია.
ვინ მოსთვლის, უსამართლობამ
რამდენჯერ დამცა მეხია,
მაგრამ არც ერთხელ ლაჩრულად
გული არ გამიტეხია;
მე უფრო გაბრაზებულსა
გამვეფხვებია სულია
და მტრების თავს ზარ-საცემლად
გამლომებია გულია.
თუ დარდებს ქარს არ გავატანთ
და გულში მივცემთ ბინასა,
იგრე გამოჭხრავს ჩვენს გულსა,
როგორც რომ ჟანგი რკინასა.
კაცი დარდისგან შეჭმული
აღარაფერში ვარგია,
იქ მკვდრებს აკლია, აქ—ცოცხლებს,
ვირის სათრევი ბარგია.
ადათია იღრიალოს
ბალღმა, როცა რამ დაკარგოს,
კაცმა-კი წამხდარი საქმე
ჰქვა-ცდით უნდა გაიკარგოს.
გახსოვს, ნათლიმამ, ცხრა წლის წინ
აქ რეებს გეუბნებოდი,
როცა ცოლ-შვილი დაგერჩო
და შენც წყლის პირას ჰკვდებოდი,
როცა მე, შენსა გადამრჩენს,
მლანძღავდი, მემუქრებოდი,!
და თავის დასარჩობადა
წყლისაკენ მიჰბობღდებოდი?
მე გითხარ: შენ ცოცხალი ხარ,
არა გთვლი დაღუპულადა,
ვაზსა გასხლულსა ცოცხალსა,
ვინ ჩასთვლის ჟამ-მოჭმულადა;
ესაც გითხარი: კაცი მხნე
გულს არ მოუშლის მშვიდობას,
ამ ქვეყნად ყველას იშოვის
ცოლ-შვილს, სიმდიდრეს, დიდობას.
და აი, მართლაც აცხადდა
ცხრა წლის წინ ჩემგან თქმულია:
ლიტაო იგრევ აჰყავდი,
როგორც რომ თაიგულია;
მარგალიტივით ცოლ-შვილი
გარშემო შემოგსხდომია,
მთვარე ხარ ვარსკვლავებშია,
ჰზიხარ ვაჟკაცი —ლომია;
ჰქვითა და გარჯა-მხნეობით
სიმდიდრეც შეგიძენია,
მრავალი საწყალ-ღატაკი
შენს შველას აუდგენია;
დიდობაც მოგიპოვია,
კაცობაც ნამუსიანი:
დღეს სარდალი ხარ სოფლისა,
მამასახლისი ღვთიანი.
ორმოც-და-ათის წლისა ხარ,
ჯერ დიდს გაივლი სავალსა,
შეიძენ, მოიმოქმედებ
კიდევაც მადლსა მრავალსა.
აი, ეხლა ხარ ვაჟკაცი,
ჭირი შენ დაგიძლევია,
ცხრა წლის წინ ჩემი ნათქვამი
ცხად საქმედ გადგიქცევია.
ვხარობ, რომ გხედავ ბედნიერს,
ეს-კი მწყინს: რად ვართ ცრუები,
ცრუ მკითხავ-ქადაგებისგან
ადვილად მოსატყუები,
ყველა სოფელს გვაქვს საყდარი,
იქ აღარავინ შევდივართ,
და მკითხავების სიტყვით-კი
ცხრა დღის სავალზედ დავრბივართ.
მკითხავი ცალკე გვატყავებს,
ვცდებით და ვხარჯავთ მრავალსა,
გვეხოცვის ავადმყოფები
ხატების გზაზედ მავალსა.
რამ დაგვაცეტა ნეტავი,
როდის-ღა მოვალთ ჭკვაზედა;
რაც წლის-წლობამდის სოფელი
ჰხარჯავს „ხატების“ გზაზედა,
იმ ხარჯით „ფოშტი“ ფულსაცა
ადვილად გადიხდიდაო,
სკოლასაც ააშენებდა,
შვილებსაც ასწავლიდაო“...
ეს რო თქვა, ადგა სუფრიდგან
მენავე დაბროწებული,
შავად ენთოდა თვალები,
ცეცხლივით გაჩაღებული.
მე ვუთხარ: „ჩემო ნათლიავ,
ვინ არ ვიცით, რო სოფელსა
ჰღუპავენ მკითხავ-ქადაგნი,
როგორც რეგვენს და ოხერსა;
მაგრამ ეს საქმე ჩვენივე
დედაკაცების ბრალია:
მკითხავის სიტყვას მისდევენ,
გვესხმება ცეცხლზედ წყალია;
ვთქვი ეს თუ არა, მენავემ
ულვაშს გადისვა ხელია,
პასუხი მომცა იგეთი,
გაზეთში ჩასაწერია:
„მეც მაგას ვჩივი, ნათლიმამ,
დედაკაცები გვძლევენო,
ჩვენს ქუდებს თითონ იხურვენ,
ლეჩაქის ყურში გხვევენო,
გვეჭიდებიან ყურზედა,
თავიაანთკენ გვწევენო
და საითაც ჰსურთ, ხაფანგის
ლეშივით მიგვათრევენო“!...
მე მოვუწონე, ვაკოცე,
დავლიე, დავალევინე,
მის სადღეგრძელო ცოლ-შვილსაც
მეორედ დავაცლევინე.
მზე ჩაწვერილი მთისაკენ,
იდგა ერთ შუბის ტარზედა,
შევაბით მლოცავთ ურმები,
დავმწკრივდით შარა გზაზედა.
ცოლ-შვილთან ვზივარ ურემში,
თამრიკო გვკოცნის ყველასა,
კოფაზედ ჩემი მეურმე
ღუღუნებს ოროველასა:
„მინამ სიკვდილი მომკლავდა,
სთქვა გლეხმა, შრომის შვილმაო,
ათასჯერ მომკლა ქვეყანამ
ბოროტით გატენილმაო.
ღმერთო, რად გინდა ქვეყანა,
ქაჯ-ეშმაკებით სავსეო,
დაასხი წარღვნა, წანაშე,
გული ნუ დამიხავსეო.
ედემის ბაღად აქციე
ხრიოკის მიწის პირიო,
ამრავლე ხალხი კეთილი,
ეშმაკთ შეჰყარე ჭირიო;
მაშინ ქართველი მეურმე
იგრე იმღერებს ტკბილადო,
რო იმის ოროველასა
წიგნებში სწერდნენ ხშირადო;
ის ოროველა ქალამზეს
გამოაღვიძებს მძინარსო,
დასწვამს, დასდაგავს სურვილით,
ეშხის ზღვას მისცემს მდინარსო;
ის ოროველა ლაჩარსაც
აალებინებს ხმალსაო,
გაამუსვრინებს ქვეყნის მტერს,
ბრმას აუხილებს თვალსაო;
ის ოროველა მდიდარსაც
მოაქმედინებს მადლსაო,
გაუჩენს ვაჭარს, მოხელეს
სწორე სამართალ-აღლსაო;
ის ოროველა რეგვენსაც
მისცემს გონება-ჭკვასაო,
გააკეთილებს ბოროტსა,
მგელს დაუმოყვრებს თხასაო;
ის ოროველა ცოცხლებსა
სიკვდილსაც მოაგონებსო,
სამოთხე-ჯოჯოხეთისა
ამბებსაც ჩააგონებსო“.

დ. მაჩხანელი

მართ მთელი ქალაქი დაუვლიათ, საცა დიდი და პატარა ალტაცებით ეგებებოდა თურმე და შემდეგ მეფის სასახლის წინ სადღესასწაულო კრება გაუმართავთ.

ოსმალეთიდგან თესალიის მხრივ საბერძნეთის საზღვრებზედ დიდძალი გამოქცეული ჯარის-კაცი მიდის თურმე. საწყლები მშიერ-მწყურვალენი და დაგლეჯილ-დაფლეთილები არიან. ყველა ამათ საბერძნეთი დიდის სიამოვნებით ეგებება. თესალიის მაჰმადიანთ საბრძოლველი იარაღიცკი მიუყიდნიათ საბერძნეთის მთავრობისათვის.

—

— მაკედონიის სხვა-და-სხვა მალული კომიტეტი დიდის გულს-მოდგინებით ჰმოქმედობს თურმე: დიდ-ძალს საბრძოლველს იარაღს ჰყიდულობს და მკვიდრთ ურიგებს, ხალხს საბრძოლველად იწვევს და სხ. ყოველივე ამისათვის კამიტეტები ფულს სადღაც ბლომად შოულობენ. საქმე ისეა, რომ ამბოხებას იქაც მუდამ დღეს უნდა მოელოდეს კაცი. საკვირველიც არ იქნება ეს, თუ გაზეთები მართალს მოგვითხრობენ, რომ მაჰმადიანები ისე ავიწროებენ ქრისტიანეთ, ენითაც არ გამოითქმის და იმათი ასეთი საქციელი დღე-დღეზედ ჰმატულობსო; ოსმალეთის მთავრობა-კი ყოველივე ამას ისე გულ-გრილად შესცქერის, თითქოს აქ არაფერი ამბავია. ოსმალეთის ასეთ საქციელს არა მარტო მაკედონიის ქრისტიანები გამოჰყავს მოთმინებიდგან. სერბიის მთავრობას ოსმალეთისათვის ნოტა გაუგზავნია, რომელშიაც ნათქვამია, რომ კმარა ამდენი, ეხლა მაინც დროა ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ სერბების ტანჯვა-წამებას ბოლო მოეღოსო.

## დამაკვირდი

სარწმუნოებისათვის მხოლოდ ის არის ჭეშმარიტი, რაც წმიდაა; ფილოსოფიისათვის ის არის წმიდა, რაც ჭეშმარიტია.

ფეიერბახი

***

ცხოვრება სიზმარია; გონიერი ცხოვრებაც სიზმარია, ხოლო სასიამოვნო-კი.

შილლერი

***

დაზოგვა დიდი შემოსავალია.

ციცერონი

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

1896 წელს, 29 მარტს, მცხოვრებთა რიცხვი აღწერეს მთელს საფრანგეთში და კვლავ დამტკიცდა, რომ ხალხი ძლიერ ნაკლებად მრავლდება. ეს ამბავი სწორედ რომ გასაოცარია. 1891 წელს მთელს საფრანგეთში ითვლებოდა 38,342,948 სული, 1896 წელს-კი 38,517,995 სული ყოფილა. მაშასადამე, ხუთის წლის განმავლობაში საფრანგეთის მცხოვრებთა რიცხვს მიჰმატებია მხოლოდ 3500 სული. ანუ 1000 სულს მიჰმატებია მხოლოდ 1 ადამიანი. სამწუხარო უფრო ის არის, რომ ეს მცირე მომატებაც მხოლოდ ქალაქებშია და სოფლის მცხოვრებთა რიცხვი-კი სულ თანდათან კლებულობს. ნორმანდიის ხუთ დეპარტამენტთა შორის მხოლოდ ერთში იმატა ხალხმა. დანარჩენებში პირიქით იკლო კიდეც. ერთს დეპარტამენტში მცხოვრებთა რიცხვს 51,528 სული დააკლდა. დიდ ქალაქებში-კი ხალხი მატულობს. პარიზს 28,887 სული მიჰმატებია, ლიონს 27,951, მარსელს 38490. მაგრამ, რაც შეეხება პარიზს, აქ ხალხი ერთგვარად არა მატულობს. 1881 წლიდგან 86 წლამდე მიემატა 280,217 სული, 86 წლიდგან 91 წლამდე—75,527, 91 წლიდგან 96 წლამდე—88,877. ამის მიზეზი მსოფლიო გამოფენებია პარიზში, რომლებიც გაიმართა 1878 და 1889 წლებში.

***

ყველამ კარგად იცის, რომ ცეცხლს წყალი აქრობს. თუ სადმე ცეცხლი გაჩნდა, წყალს მიაშურებენ ხოლმე, მაგრამ თუ ნავთს მოეკიდა ცეცხლი, წყალი ვერ აქრობს კარგად. სრულიად შემთხვევით შეუტყვიათ, მოკიდებულს ნავთს რომ რძე დაასხათ, ცეცხლი ძლიერ მალე გაქრებაო. შემდეგ ბევრმა გამოსცადა ეს და დამტკიცდა, რომ რძე წყალზედ უფრო კარგად აქრობს თურმე ცეცხლს.

***

ამერიკის ერთს გაზეთში ასეთი განცხადებაა დაბეჭდილი რედაქციისაგან:

„ჩვენის გაზეთის რედაქციაში ბევრს ხელის მომწერს ჯერ ფული არ შემოუტანია. ამიტომ ვაცხადებთ, ამ ხელის მომწერთა და სხვების საყურადღებოდ, რომ, ვისაც ფულის შემოტანა უჭირს, შეუძლიან ფულის მაგიერად სიმინდი გამოგზავნონ. უეჭველია, გაზეთის რედაქციას საკუთარი ბეღელიც ექმნება სიმინდისთვის.

***

ამ სოფლად ყველას თავისი მოვალეობა ავვს: მთავრობა სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის ზრუნავს, ხუროთ-მოძღვარი სასპატიმროს აშენებს, ინჟენერი—რკინის გზას აკეთებს და ახალგაზდა დანიშნულნი... ერთმანეთს ჰკოცნიან. ეს, მართალია, ვერაფერი ახალი ამბავია, მაგრამ აი ეს ახალი ამბავი-კი არ ვიცი, როგორ მოგეწონებათ. პრეზიდენტის არჩევნების დროს, მიჩიგანში ერთი ახალგაზდა ქალი დაენაძლია თავის დანიშნულს ვარრი ოსლერს, რომ პრეზიდენტად ბრაიტი იქნება ამორჩეულიო. თუ გავმტყუნდი, ათასჯერ გაკოცებო. ქალმა სანაძლევო წააგო და ათასჯერ უნდა ეკოცნა დანიშნულისთვის, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ თვლა აერიათ. ქალი ამტკიცებდა, ათასზე მეტი გაკოცეო, დანიშნული-კი ამბობდა, არა, ათასს ჯერ ბევრი აკლიაო. საქმე გამწვავდა და დანიშნულებმა მედიატორთა სამართალს მიჰმართეს. მედიატორებმა შემდეგი გონიერი განჩინება დაადგინეს: „რადგანაც ძლიერ ძნელი გადასაწყვეტია, ვინ მართალია, და ვინ მტყუანი, ამიტომ ხელახლად უნდა დაიწყოთ კოცნაო.“ რადგანაც ქ-ნი ოსლერი ძლიერ ლამაზია თურმე, მისი დანიშნული სიამოვნებით დასთანხმდა ამ განაჩენს.

## გასართობი

მამა სტუქსავს ქალიშვილს, კასტანგთან ნუ ჩურჩულ-კურკურობო.

— რატომ არ მოგწონს კასტანგიო? ჰკითხავს ქალი.

— იმიტომ-რომ სულელია.

— არ გეთანხმები მაგ აზრს.

— ესეც არ იყოს, მე მგონია, რომ მაგას შენის ქრთამის თავის ტკივილი უფრო აქვს.

— პირ იქით, მე-კი ასე მითხრა, რომ უქრთამოდაც შეგირთავო.

— ოჰო, მართლა? მაშ უფრო სულელი ყოფილა, ვიდრე მე მეგონა.

**

ერთი კაპიტონი, დიდი მოტრფიალე ბანქოს თამაშობისა, ერთხელ თეატრში იყო და ჩაეძინა.

— ერთი დაინახე, კატო, რა მშვენივრად თამაშობს-და! წაჰკრა ხელი მეგობარმა და გამოაღვიძა.

— ეჰ, მაგდენი კერაფერი, წაიბუტბუტა ჯერ გონებაზედ არ მოსულმა: ხელმწიფეს ჩამოვიდა და კიკო-კი ხელში უჭირავს!

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 მარტი

**პარიზი.** ოფიციალური გაზეთი „Temps“ სასტიკად ჰკიცხავს სიტყვას, რომელიც წარმოსთქვა ინგლისის ოპოზიციის მოთავემ სერმა უილდ გარკორტმა. საფრანგეთის სამინისტროების გაზეთები აცხადებენ, რომ გარკორტი საბერძნეთს მტერსავით ექცევა, რადგანაც იგი ეფერება და ხელს უწყობს უიმისოდაც ძლიერ აღელვებულს გრძნობას, რომელიც ხელს უშლის საბერძნეთის მთავრობის მოქმედებასაო.

**ბერლინი.** 7 მარტს მობრძანდა დიდი მთავარი ვლადიმერი ალექსანდრეს ძე. მისს უმაღლესობას სადგურზედ დაუხვდნენ პრინცი ფრიდრიჰ ლეოპოლდი და რუსეთის ელჩი საელჩოს ყველა წევრებით.

**ბერლინი.** 7 მარტს იმპერატორმა მიიღო დეპუტაცია, რომელიც რუსეთის რაზმების მიერ ბერლინში იქმნა გამოგზავნილი გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ პირველის დაბადების დღიდგან ასის წლის შესრულებისა გამო.

**ლონდონი.** გაზეთი „Daily News“ იუწყება, რომ კანეიდგან საბერძნეთის ბანაკში ჰგზავნიან საფრანგეთისა და იტალიის აფიცრებს, რომელთაც დაავალებენ: გამოუცხადონ პოლკოვნიკს ვასსოს, რომ თავისი ჯარი ჩასხას გემებში და 36 საათის განმავლობაში წავიდნენ კრიტიდგან.

პეტერბურგის ბირჟა 7 მარტი

| | მყიდველის. | გამყიდველის. | გარიგების. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | —„ | —„ | —„ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 212 |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $101^3/_8$ | — „ | — |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^1/_8$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^3/_8$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $98^3/_4$ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | 278 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | 250 |

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესს მადლობას ვუცხადებ თავად კონსტანტინე გურიელის ასულს ელენეს, რომელმაც მიიღო შრომა და ჩვენის წიგნთსაცავის სასარგებლოდ შეჰკრიბა ქ. ოზურგეთში წიგნები და ფული. ამასთანავე წარმოგიდგენთ შემომწირველთა სიას: თ. კონსტანტინე გურიელი—10 მანეთის წიგნები, თ. ვახტანგ გურიელი—3 მ., თ. დავით სიმონიძე გურგენავა—3 მან., თ. ლევან მიქელაძე—1 მან., ბ. ე. მამინაიშვილი—5 მან., გრ. ჯაყელი—2 მან., კ. თავართქილაძე—5 მანეთის წიგნები, ქ-ნ მართა გოგიტაძისა—1 მან., ვლადიკო თოთიბაძე 3 მან., აზ. ას. კვიტაშვილი,—1 მან., მ. ურუშაძე—2 მან., სულ ფულად—26 მან., და 15 მანეთის წიგნები. ზემო აღნიშნულთ უგულითადესს მადლობას შევსწირავთ.

შემოქმედის წიგნთ-საცავის გამგე ფილიპე მგელაძე.

### „ივერიის“ ფოსტა.

**ს. ახ—ტას. ერთ ვინმე ანტონას:** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, რადგან მარტო გეოგრაფიული აღწერაა სოფლისა.

**ქუთაისი. ახალგაზდა ქართველს ქალს:** გვთხოვთ, აგვიწერეთ ქართველ ქალთა ძველებური ტანისამოსიო. ჩვენის ნეტარ-ხსენებულ მეფის თამარის სურათს დააკვირდით და ეგ არის ჭეშმარიტი ქართული დედათა ტანისამოსი. თუ მოვძებნეთ რამე, ჩვენც მოგაწოდებთ.

**ქ. ფ—ი. ალ. ჭ—ას:** სხვის წერილს თქვენ ვერ გამოგიგზავნით. წერილის უსახელო ავტორი იმ ბრალსა გდებთ, რომ წერილებსა და გაზეთებს გვიან ატარებს, წინა დღეს მოსულს წერილს მეორე დღეს მოგვიტანს ხოლმეო.

**ლ. გუბელს:** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**დ. ზ—ნს. ი. მ—ძეს:** „ხათაბალას“ ვერ დავბეჭდავთ.


## განცხადებანი

28 თებერვალისა დანიშნული **ტფილისის მაზრის კეთილშობილთა კრება** არ შესდგა თავად-აზნაურთა რიცხვის დაუსწრებლობისა მიზეზით. ამის გამო ტფილისის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა მ. პ. ისარლოვმა დანიშნა **ახალი კრება** 30 მარტს, დილის 10 საათზედ, და სთხოვს თავად-აზნაურობას ამა მაზრისას მობძანდნენ აღნიშნულს დროს თავიანთის საბუთებით არჩევანებში დასასწრებლად მაზრის კრებაზედ, რომელიც იქნება კეთილ-შობილ დეპუტატთა საკრებულოს სადგომში.

(3—6.—2)

გამოვიდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიაში ცხოვრება
და სასწაულთ-მოქმედება
**სვიმონ მესვეტისა**
გამოცემა წყალ-წმინდის ძმობისა.
**ფასი ერთი შაური**

(3—6.—3)

**პატენტ-ბოძებული თვით მოქმედი მანქანა „სიფონია“ ვენახებისა, ბოსტნებისა და ხეხილების სამკურნალოდ** უფრო **კარგად ასხურებს** წამალს, ვიდრე სხვა რომელისამე სისტემის მანქანა. ხმარების დროს შეკეთება სულ არა სჭირდება. ამითი დიდად იზოგება **დრო და მასალა**



ისყიდება: **ივანე კულიჯანოვის** მაღაზიაში ქ. **თელავს.**

**ე. ფ. აუფერმანის საწყობის განყოფილებაში, ქალაქ სიღნაღს, შავერდოვების ქარვასლაში.**

ე. ფ. აუფერმანის საწყობში, **ტფილისს, მიხეილის ქუჩაზედ № 117.**

20—6.—2

**წრეულს**

# „მეურნე“

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

წელს რედაქცია წინანდელზედ ერთგულად ეცდება გამოარკვიოს საქართველოს სასოფლო მეურნეობის საგნები, როგორც უმთავრესი დარგი თავისი პროგრამისა, იმავ დროს უფრო მეტს ყურადღებას მიაპყრობს ეკონომიურსა და საჰიგიენო ნაწილს ჟურნალისას. თანამშრომლების მომატება მწერლობაში ცნობილ პირთაგან სრულ იმედს გვაძლევს, რომ 1897 წელს გაუმჯობესებულად შევსძლებთ მარჯვეთ ვემსახუროთ გონიერს საგნებზე და არსებითს საქმეებზე კითხვას მოწყურებულს ქართველს საზოგადოებას.

ჟურნალის გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს: ქუთაისში „მეურნის“ რედაქციას, ბეჟუთის ქუჩის გადასახვევში, ჭყონიას სახლში, № 10; „მეურნის“ რედაქციის სტამბას, თბილისის ქუჩაზე, ნ. სვიმონოვის შენობაში, გუბერნატორის სახლის პირდაპირ.

რედაქციას მომავალ წლისათვის მზადა აქვს შემდეგი წერილები 1) ვაზი, მისი მოშენება და მოვლა, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა; 2) მადნები ქუთაისის არე-მარეში, ბ. დავიდოვისა; 4) კოოპერატიული საზოგადოებანი, ი. ზუბასი და სხ.

**მეურნის ფასი—წლით 4 მანათი, ნახევარის წლით 2 მანეთ ნახევარი.**

წლიურ ხელისმომწერთ დამლევამდი მიეცემათ ხუთხუთი ძირი ამერიკულ ვაზისა

ფოსტის ადრესი: Кутаисъ. Редакція „МЕУРНЭ“ (5—3)